ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ინგლისური ენის სწავლებისას

ავტორი: ანანო შანავა
ქეთევან ჟორჟოლიანი

ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია იკვლევს, როგორ შეუძლია რობოტს შეასრულოს ინტელექტუალური სამუშაო, რომელსაც, ერთი შეხედვით, მხოლოდ ადამიანები ახორციელებენ (Han, 2019). ეს ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტი (AI) არის მეცნიერების ფართო სფერო, რომელიც აერთიანებს პრობლემის გადაჭრის დინამიკურ, ადამიანის მსგავს უნარს, იგრძნოს ქცევა და დანიშნულება (კობარი, 2019).

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი'' ჩნდება 1950-იან წლებში. ბრიტანელმა მათემატიკოსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელი იყო, მოწყობილობებსაც ეაზროვნათ ადამიანებივით. მოგვიანებით, 1956 წელს ჯონ მაკარტნისა და მარვინ მინსკის მიერ ჩატარებული კონფერენცია ითვლება ხელოვნური ინტელექტის კვლევების დასაწყისად. მთელი მომდევნო პერიოდი, 1974 წლამდე, ეს სფერო სწრაფად ვითარდებოდა, თუმცა კომპიუტერები არ იყო საკმარისი სიძლიერის მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად. 1980-იან წლებში ახალი ალგორითმების გამოჩენამ და დაფინანსების გაუმჯობესებამ ხელოვნური ინტელექტისადმი ინტერესი გაზარდა. 2000 წლიდან დღემდე ამ მიმართულებით უამრავი დიდი გამოგონება ჩნდება ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. AI-ის განვითარებამ მოიცვა თითქმის ყველა სფერო: ტექნოლოგია, განათლება, ფინანსები, მარკეტინგი, გასართობი ინდუსტრია.

2023 წელს ბრიტანელმა მკვლევრებმა (Briritish council) გამოაქვეყნეს ანგარიში, რომლის თანახმადაც გამოიკვეთა AI-ის გავლენა მოსწავლეებზე, მასწავლებლებსა და საგანმანათლებლო გარემოზე. AI-ის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების შესწავლამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ტენდენციები:

- **საგანმანათლებლო სარგებელი**: AI ძირითადად გამოიყენება საუბრის, წერის, კითხვის უნარების გასაუმჯობესებლად, წარმოთქმის დახვეწის, გრამატიკის შემოწმებისა და ადაპტაციური სწავლების სისტემების განსავითარებლად.
- **სირთულეები**: კვლევის მიხედვით, სასწავლო პროცესში გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა, ტექნოლოგიური შეფერხებები, შეზღუდული AI-ის შესაძლებლობები, მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებული შიშები.

კვლევა ჩატარდა მსოფლიოს მასშტაბით, გამოიკითხა ინგლისურის ენის 1348 მასწავლებელი და გამოიკვეთა შემდეგი:

- **AI ინსტრუმენტების გამოყენება**: პოპულარული ინსტრუმენტები მოიცავდა ენის სწავლების აპლიკაციებს (48%), ენის გენერაციის AI-ს (37%) და ჩატბოტებს (31%). მასწავლებლები ძირითადად იყენებდნენ AI მასალების შესაქმნელად (57%) და ენის პრაქტიკის გასამარტივებლად (53%).

ინგლისური ენის სწავლა-სწავლების გასაუმჯობესებლად გთავაზობთ ხელოვნური ინტელექტის კონკრეტულ აპლიკაციებს:

Magic School AI – გახლავთ მრავალფუნქციური და კომპლექსური სისტემა, რომელიც არა მარტო უცხოური ენების პედაგოგებს, არამედ ყველა საგნის მასწავლებელს სთავაზობს ერთ სივრცეში თითქმის ყველა საჭირო სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობას, კერძოდ, სასწავლო ინსტრუმენტები შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად ბლოკად:

- **მრავალფეროვანი გაკვეთილის გეგმები**
- **Plan generator –** ნებისმიერ თემაზე ქმნის გაკვეთილის გეგმას, კლასის დონის, თემატიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით;
- **Project Based Learning –** ნებისმიერ თემაზე, კლასის დონისა და საჭიროებების გათვალისწინებით, იძლევა პროექტზე დაფუძნებული სწავლების საშუალებას.
- **მოსწავლეთა მხარდაჭერა (შეფასების რუბრიკები, უკუკავშირის სისტემა)**
- **Rubric Generator –** კლასისა და თემატიკის მითითებით, ძალიან მარტივად ქმნის 3-დან 7-შკალიანი შეფასების რუბრიკებს;
- **Student work Feedback –** მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით ქმნის განმავითარებელ შეფასებას, ხოლო შესაბამისი კრიტერიუმების მითითებით – მოსწავლის უკუკავშირს.
- **შეკითხვები, ქვიზები**
- **Worksheet Generator and Multiple choice Assessments** – საშუალებას გვაძლევს კლასის დონისა და საჭიროებების გათვალისწინებით საშუალებას გვაძლევს ჩვენთვის სასურველ თემაზე შევადგინოთ როგორც არჩევითბოლოიანი, ისე ღია და დახურული შეკითხვები, ქვიზები;
- **DOK Questions –** შეიმუშავებს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც უფრო სიღრმისეულ ანალიზსა და დაფიქრებას მოითხოვს**.**
- **ენობრივი კომპეტენციის განვითარება**
- **Informational Texts –** კონკრეტული კლასის, დონისა და თემატიკის მითითებით ქმნის სხვადასხვა ტიპის ტექსტს.
- **Vocabulary List Generator –** თემის ან ტექსტის საფუძველზე ადგენს ლექსიკური სიტყვების ნუსხას, რაც მნიშვნელოვანია ლექსიკური მარაგის გასაუმჯობესებლად.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთეებისა, აპლიკაცია საკმაოდ მრავალფეროვანია და ბევრ საინტერესო ინსტრუმენტსაც მოიცავს, როგორიცაა: **Teacher Observation, Group Work Generator, Academic Content, Team Builder/ Ice Breaker, Assigment Scaffolder** და ა.შ. დეტალურად ყველა ინსტრუმენტს შეგიძლიათ, გაეცნოთ მითითებულ მისამართზე. https://app.magicschool.ai/tools[1]

აღსანიშნავია ისიც, რომ თქვენ მიერ შექმნილი ყველა მასალა მარტივად შეგიძლიათ გადმოწეროთ ვორდის დოკუმენტში, იქვე ამობეჭდოთ ან/და დაარედაქტიროთ სურვილისამებრ. გარდა ამისა, შეგიძლიათ შექმნათ ქართულენოვანი მასალა.

მეორე აპლიკაცია გახლავთ – **app.twee.com,** რომელიც საშუალებას გვაძლევს შესაბამისი დონის მითითებით შევქმნათ **კითხვის, მოსმენის, ლაპარაკისა** და **გრამატიკული თუ ლექსიკური ერთეულების** შესასწავლი რესურსები. კითხვის მიმართულებით აპლიკაცია მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ ფუნქციებს:

- **Create the text on certain topic –** ნებისმიერ თემაზე შესაბამისი დონის გათვალისწინებით ქმნის ტექსტს;
- **Create the dialogue on any topic –** ნებისმიერ თემაზე ქმნის დიალოგებს;
- **Lead in activities for a text –** გაკვეთილის თემისადმი ინტერესის აღსაძვრელად და მოტივაციის

გასაზრდელად ქმნის შესაბამის სავარჯიშოებს.
მოსმენის მიმართულება –

- **Audio & Video Question Creator –** ატვირთულ ვიდეო და აუდიო მასალაზე შეიმუშავებს შესაბამის კითხვებს;
- **Warm -up Discussion Questions before Listening –** აუდიო მასალის ატვირთვის შემდეგ შეიმუშავებს გამოწვევის ფაზის შეკითხვებს.

ლაპარაკის მიმართულება –

- **Find interesting facts on a given topic –** ნებისმიერ თემაზე ქმნის საინტერესო ფაქტებს;
- **Create a list of advantages and disadvantages on the given topic –** სხვადასხვა საკითხზე გვთავაზობს დადებითი და უარყოფითი ასპექტების ჩამონათვალს.

გარდა ამისა, აპლიკაცია მოიცავს ახალი ლექსიკური და გრამატიკული საკითხების შესასწავლ რესურსებს, რომლებსაც შეგვიძლია უფრო დეტალურად გავეცნოთ შემდეგ მისამართზე – https://app.twee.com/.

[2]https://www.teachershub.ai/ask ეს აპლიკაცია საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია. ყველა საგნის პედაგოგს აძლევს საშუალებას, მითითებული თემიდან გამომდინარე შექმნას შეფასების რუბრიკები, გაკვეთილების გეგმები და სავარჯიშოები.

Eigo AI – პლატფორმა გვთავაზობს გაკვეთილებს ისეთ თემებზე, როგორებიცაა: მეცნიერება, კულტურა, საზოგადოება, ისტორია და მრავალი სხვა – ყოველკვირეულად გამოქვეყნებული ახალი გაკვეთილებით. თითოეული გაკვეთილი გათვლილია სირთულის სამ დონეზე: დამწყები, საშუალო და მოწინავე (begginer, intermediate, advanced). ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით, ასევე გვთავაზობს სიტყვების კონტექსტურ განმარტებებს, როგორც ინგლისურად, ისე მშობლიურ ენაზე. აპლიკაცია მყისიერ უკუკავშირს აძლევს შემსწავლელებს ზეპირი მეტყველების გაუმჯობესების მიზნით. ასევე ინსტრუმენტი საშუალებას გვაძლევს, გარკვეული კომუნიკაცია დავამყაროთ მეგობრულ AI-სთან გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე. (https://eigo.ai/)

Yappity.io – ავტომატურად ქნის ტესტებს, ვიქტორინას. შესაძლებელია, შექმნილი ტესტების რედაქტირება და გაზიარება. მარტივად გამოიყენება საკუთარი თავის შესამოწმებლად ან სხვებთან გასაზიარებლად (https://yippity.io/).

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნური ინტელექტის თემა ბოლო წლებია, განსაკუთრებით გააქტიურდა მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. დაიწყო AI-ის ინსტრუმენტების დანერგვა, დახვეწა და საგანმანათლებლო სფეროში აქტიურად გამოყენება. საგულისხმოა, რომ AI-ის საგანმანათლებლო აპლიკაციების გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სწავლა-სწავლების კომპლექსურ პროცესს. კერძოდ, საგაკვეთილო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ინტერაქციული, დინამიკური და საინტერესო. ზემოთ აღნიშნული აპლიკაციები, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასარგებლოა ნებისმიერი პედაგოგისთვის. მიგვაჩნია, რომ AI-ის გამოყენებისას აუცილებელია გარკვეული გამოწვევებისა და ეთიკური საკითხების გათვალისწინება, რაზეც საბოლოო კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არის მიღწეული.

[1] რეგისტრაციის გავლა ხდება მარტივად, ელფოსტის საშუალებით ან სტანტარტული ავტორიზაციით, რეგისტრაციისას აუცილებლად მითიუთეთ, რომ ხართ პედაგოგი და შეგიძლიათ დააკონკრეტოთ საგანი, რათა შესაბამის თემატიკაზე გქონდეთ რესურსებზე უფასო წვდომა.

[2] **რეგისტრაციის გავლა ხდება სტანდარტული ავტორიზაციით ან/და არსებული ელფოსტის საშუალებით.**